2030 წლის მდგრადი განვითარების დღის წესრიგი – იმპლემენტაციის კონფერენცია თბილისში

გამოწვევებისა და მიღებული გამოცდილების გამოვლენა ამბიციური
გეგმის შემდგომი ეტაპის იმპლემენტაციისთვის

28-29 მაისი, 2018

ადგილი: საქართველოს პარლამენტი (შოთა რუსთაველის გამზ. 8, თბილისი, 0118,
პლენარულ სხდომათა დარბაზი, B კორპუსი, III სართული)
სასტუმრო "რედისონ ბლუ ივერია" ვარდების რევოლუციის მოედანი I, თბილისი, 0108)

ძვირფასო ბატონო/ქალბატონო,

პატივი მაქვს მოგიწვიოთ მაღალი დონის საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც ეძღვნება 2030-ის დღის წესრიგის მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების საკითხს სამთავრობო და სამეცნიერო პერსპექტივიდან.

კონფერენცია, რომელსაც ორგანიზებას უწევს საქართველოს პარლამენტი, საქართველოს მთავრობასა და პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, მიზნად ისახავს 2030-ის დღის წესრიგის იმპლემენტაციის ადრეულ ეტაპზე არსებული გამოწვევების გამოვლენასა და დაგროვილი გამოცდილების გაზიარებას. კონფერენციის ზოგადი თემატიკის ფარგლებში, რომელიც ეხება ქვეყნების გამოცდილებას 2030-ის დღის წესრიგის იმპლემენტაციის კუთხით, აღნიშნული ღონისძიება წარმოადგენს პლატფორმას, სადაც სხვადასხვა ქვეყნების მონაწილეებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიეცემათ საშუალება იმსჯელონ იმპლემენტაციის პროცესში, ასევე სექტორთაშორისი და ინტერდისციპლინარული თანამშრომლობის კუთხით არსებულ მდგომარეობაზე, გამოწვევებსა და მიღწევებზე.

დარეგისტრირებულ მონაწილეებს გაეგზავნებათ დღის წესრიგის საბოლოო ვერსია და ადმინისტრაციული ინფორმაცია.

გთხოვთ, **20 მაისის ჩათვლით**, გაიაროთ რეგისტრაცია შემდეგ ბმულზე: https://docs.google.com/forms/d/1f_wBAbeZcSQHkHXskO7UF6YAmiuZqF-kvWW7AjFrgzo/edit

დამატებითი ინფორმაციის საჭიროების შემთხვევაში, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ქ-ნ მარიამ ჭუმბაძეს *(ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი, საქართველოს პარლამენტი; ელ.ფოსტა mchumbadze@parliament.ge; მობ: +995 599 009 888).*

ქ-ნი სოფიო კილაძე
ადამიანის უფლებათა დაცვისა და
სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის
თავმჯდომარე

SUSTAINABLE DEVELOPMENT GOALS